13/5 6 49
307

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აგვისტოს 20. № 19 ტ ფ ი ლ ი ს ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

111. უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო გეგმის ასრულების მასალის თავის დროზე წარუდგენლობის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

112. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 171[1] მუხლის დამატების შესახებ.

მრეწველობა.

113. მძიმე და სატყეო მრეწველობის საქონლის და ნაკეთობის (ხელთქონებული და გზადმყოფი) და აგრეთვე დაუმთავრებელი ნაწარმის გარდაფასების შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

114. 1936 წლის მოსავლიდან ტექნიკური და სუფრის ყურძნის კონტრაქტაციით დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ვაჭრობა მომარაგება.

115. ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

116. „ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის თაობაზე“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 31-ის დადგენილების 1-ლი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

117. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37 მუხლის გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

111. დადგენილება ს.კ.ს.

უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო გეგმის ასრულების მასალის თავის დროზე წარუდგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანში ცალკეული უწყებები, ორგანიზაციები, წამოწყებები, საშენებლები და საბჭოთა მეურნეობები სისტემატურად არ უდგენენ, ან დიდი დაგვიანებით უდგენენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სახალხო-სამეურნეო გეგმების ასრულების მასალას, რაც შეუძლებელ ხდის ამ მასალის საერთო-რესპუბლიკურ შედეგებში შეტანას. მაგალითად, მთელ რიგ ორგანიზაციებს (ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს, საწისქვილე კომბინატს, საქართველოს რამს, ქალალდის ფაბრიკას და სხვ.) არ წარუდგენიათ ცნობები ა/წ იანვრიდან.

სისტემატურად არ ადგენენ ცნობებს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ შემდეგი ორგანიზაციები:

1) ადგილობრივი მრეწველობის სახკომი (რაიალმასკომთა მრეწველობის ხაზით),
2) მიწსახკომი,
3) კოოპინკავშირი,
4) ინგურქალალდმშენი,
5) განსახკომი (მშენებლობისა და შრომის ხაზით),
6) ჯანსახკომი,
7) საკურორტო სამმართველო,
8) მიწათმშენი,
9) ტფილისის ზეთსახდელი ქარხანა,
10) ბათომის ბიდონის ქარხანა,
11) ქუთაისის მაუდის ფაბრიკა (შრომის ხაზით),
12) აგარის საბჭოთა მეურნეობა (შრომის ხაზით).

მიაჩნია-რა ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების აღრიცხვის საქმისადმი ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა უწყების, ორგანიზაციის, წამოწყების, საშენებლისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთ:

ა) გამოყონ კვალიფიციური პასუხისმგებელი აღმასრულებლები სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების მაჩვენებლების შესადგენად და 2 დღის ვადაზე აცნობონ პასუხისმგებელ აღმასრულებელთა გვარები საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების ყოველთვიური და კვარტალური მასალების წარდგენა დაწესებულ მტკიცე ვადაზე და სრული მოცულობით;

გ) სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების კვარტალური შედეგების წარდგენასთან ერთად, წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს განმარტებითი წერილი-მიმოხილვა სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების შესახებ.

2. გაფრთხილებულ იქნას ყველა უწყება, ორგანიზაცია, წამოწყება, საშენებელი და საბჭოთა მეურნეობა, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების შესახებ ამომწურავი ცნობების წარდგენისათვის დადგენილი პროგრამის მიხედვით ეკისრებათ თვით ორგანიზაციების ხელმძღვანელთ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—დაუყოვნებლივ გადასცეს ხოლმე პროკურატურას საქმეები სამმართველოსათვის სახალხო-სამეურნეო გეგმის ასრულების თაობაზე ცნობების არა თავის დროზე და არასრულად წარდგენის შესახებ.

4. რესპუბლიკის პროკურატურამ 10 დღის ვადაზე საანგარიშო მასალების არა თავის დროზე და არასრულად წარდგენის შესახები საქმეების მიღების დღიდან პასუხისგებაში უნდა მისცეს დამნაშავე პირნი თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „არასწორე საღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე საღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 34).

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ყოველთვიურად მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამა დადგენილების შესრულების მსვლელობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. ივნისის 25. № 717.
ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

112. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 171[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 171¹ მუხ. ული შემდეგი შინაარსისა:

„171¹ უკეთუ მოისპო შრომის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია იმ პირობით, რომ დაქირავებულს ეძლევა სპეციალური საცხოვრებელი სადგომი, სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს მოითხოვოს სადგომის განთავისუფლება.

აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის შემდეგ ერთი თვის გასვლისას, სამუშაოს მიმცემს შეუძლია აღძრას სარჩელი იმ პირის სასამართლო წესით გამოსახლების შესახებ, რომელმაც უარი სთქვა სადგომის ნებაყოფლობით განთავისუფლებაზე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივნისის 29. № 150/754.
ტფილისი.

მრეწველობა

113. დადგენილება ს.კ.ს.

მძიმე და სატყეო მრეწველობის საქონლის და ნაკეთობის (ხელთქონებული და მზადმყოფი) და აგრეთვე დაუმთავრებელი ნაწარმის გარდაფასების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ-ში აქამდე შესრულებული არ არის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 27-ის თარიღის და 506 №-ის დადგენილება „მძიმე და სატყეო მრეწველობის პროდუქციის ახალი საგასაცემო ფასებისა და აგრეთვე რკინის გზის და წყლის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ახალი ტარიფების დაწესების შესახებ“, რომელი დადგენილების საფუძველზედაც ყველა სახელმწიფო მოვაჭრე, დამმზადებელ, გამსაღებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციას და აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კოოპერაციულ ორგანიზაციას და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს წინადადება მიეცათ გარდაეფასებინათ 1936 წ. აპრილის 1-თვის ის საქონელი და ნაკეთობა (ხელთქონებული და მზადმყოფი), რაც ჩამოთვლილია ზემოაღნიშნული დადგენილების დანართში, და აგრეთვე გარდაეფასებინათ ამ საქონლის და ნაკეთობის წარმოებადაუმთავრებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები (ბევრ ორგანიზაციას და საწარმოს აქამდე მოწოდებული არა აქვს ფასის მაჩვენებლები).

ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათ და საწარმოთ, მაგრ. ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, ხუთი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, უზრუნველყონ ქვემდებარე ორგანიზაციები სათანადო ფასის მაჩვენებლებით.

2. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ 1936 წ. აპრილის 1-თვის ჩასატარებელი, მძიმე და სატყეო მრეწველობის პროდუქციის გარდაფასება და საჯამო ცნობების საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენა არა უგვიანეს ა/წ. ივლისას 1-ისა.

გადაფასებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახები ხუთდღიური ცნობები უგზავნონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ივნისის 15. № 676.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 146 №-ში 1936 წ. ივნისის 26.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

114. დადგენილება ს.კ.ს.

1936 წლის მოსავლიდან ტექნიკური და სუფრის ყურძნის კონტრაქტაციით დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ტექნიკური და სუფრის ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა განისაზღვროს 19.700 ტონის რაოდენობით; აქედან:

ტექნიკური ყურძენი—19.500 ტონა
სუფრის „ — 200 „

დამტკიცებულ იქნას ტექნიკური და სუფრის ყურძნის კონტრაქტაციის და დამზადების სახელმწიფო გეგმის განაწილება დამამზადებლებზე, რაიონებზე და სექტორებზე (იხ. დანართი 1).

2. შენარჩუნებულ იქნას 1936 წელს, 1936 წელში მოქმედი საკონტრაქტაციო (სახელშეკრულებო) სისტემა ყურძნის დამზადებისა და მისი ჩატარება სახელმწიფო გეგმის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დატოვებულ იქნას ძალაში 1936 წელს ყურძნის ჩაბარების რაიონული ნორმები, დაწესებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 19-ის თარიღის და 637 №-ის დადგენილებით—გურჯაანის, სიღნაღის თელავის, ყვარლის, ლუქსემბურგის და ბორჩალოს რაიონების გამოკლებით, სადაც ვენახის ყინვისაგან დაზიანების გამო (1935 წ. ზამთარში) დაწესებულ იქნას ჩაბარების შემდეგი ნორმები (ცენტნერობით ჰექტარზე):

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კოლმეურ-ნეობა	კოლმეურნენი		ერთპიროვ-ნული მეურ-ნეობა
		კოლმეურნეობისა, რომელსაც აქვს განსაზოგადოებული ვენახი	კოლმეურნეობისა, რომელსაც არა აქვს განსაზოგადოებული ვენახი	
სიღნაღის	6	4	5	3
გურჯაანის და ყვარლის	7	5	6	10
თელავის	9	7	8	11
ბორჩალოს	10	8	9	13
ლუქსემბურგის	30	26	27	34

4. დაევალოს ძირითად დამმზადებლებს დაამთავრონ ყურძნის სავალდებულო კონტრაქტაციის ჩატარება არა უგვიანეს 1936 წ. ივნისის 1-ისა; კონტრაქტაციასთან ერთად ჩაატარონ სამეურნეო ხელშეკრულებების დადება მწარმოებლებთან ყურძნისა და ღვინის შესყიდვაზე.

5. ნება მიეცეს კონტრაქტაციის ჩამტარებელ ძირითად დამამზადებლებს აძლიონ კონტრაქტანტებს და მწარმოებლებს, ვენახის მოვლის ხარჯების დასაფარავად, ავანსი ერთ ტონა დაკონტრაქტებულ და მათგან სამეურნეო ხელშეკრულებით შესყიდულ პროდუქციაში (მანეთობით):

	კონტრაქტ. ხელშეკრ.	სამეურნეო ხელშეკრულ.
ტექნიკურ ყურძენზე	200	100
სუფრის „	200	—

ავანსების გაცემა აწარმოონ: ხელშეკრულების დადებისას 50% და დანარჩენი 50% მოსავლის გამორკვევის შემდეგ.

გაცემული ფულადი ავანსის დასაფარავად დამმზადებელი დაუჭერს ჩამბარებელს ჩაბარებული პროდუქციის თვითეული პარტიის ღირებულებიდან არა უმეტეს ნახევრისა, მთლად გაცემული ავანსის დაფარვამდე.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას გაუხსნას ძირითად დამამზადებლებს 3.932 ათასი მანეთის კრედიტი ავანსების გასაცემად სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაქტაციო და სამეურნეო ხელშეკრულებით ყურძნის და ღვინის შესყიდვაზე, ამ თანხის დამმზადებლებზე შემდეგი განაწილებით (იხ. დანართი 2).

7. დაწესდეს, რომ სახელმწიფო გეგმას ყველა დამმზადებელი ასრულებს მხოლოდ ყურძნის დამზადებით, ხოლო სამეურნეო ხელშეკრულებით—ღვინის დამზადებითაც.

წინადადება მიეცეს ყველა ძირითად დამამზადებელს დაუყოვნებლივ შეუდგენ გადამუშავების ტექნიკური ბაზის მომზადებას (ღვინის საკეთებლების მომზადება, ტარის დამზადება და სხვა), იმ ანგარიშით, რომ მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი სახელმწიფო გეგმით და სამეურნეო ხელშეკრულებით დასამზადებელი ყურძნის გადამუშავება.

8. იმ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რაც 1935 წელს მოხდა, რომ კრეფდენ მოუმწიფებელ ყურძენს, რის გამოც ღვინის ხარისხი დაბალი გამოდიოდა, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაადგინოს ა/წ. მაისის განმავლობაში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ძირითად დამმზადებლებთან ერთად, თვითეული რაიონისა და სოფლისათვის ცალკე მოსავლის აღების ვადები და წესი, რამაც ჯნდა უზრუნველყოს ყურძნის მეტშაქრიანობა, და თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მაისის 14. № 489.
ტფილისი.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი 1.

ხახელმწიფო გეგმა 1936 წლის მოსავლის ტექნიკური და სუფრის ყურძნის დამზადებისა საქართველოში, დამმზადებლების, რაიონების და სექტორების მიხედვით.

რ ა ი ო ნ ე ბ ი	საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში	საბჭოთა მეურნეობებში	ს უ ლ
I. ტექნიკური ყურძენი			
1. სამტრესტი			
საღდადის	2150	200	2350
ყიღნახის	260	40	300
ყვარლის	520	200	720
ბურჯაანის	2000	300	2300
ვანის	1300	—	1300
თელავის	910	500	1410
ჩხარის	1580	20	1600
ჯუღელის	3400	300	3700
ქუთაისის	650	—	650
ხორაგოულის	670	10	680
საგარეჯოს	—	150	150
ბორჩალოს	—	300	300
ტფილისის	—	100	100
მარტვილის	—	20	20
სულ სამტრესტის ხაზით	**13440**	**2140**	**15580**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ი ო ნ ე ბ ი	საკოლმეურ-ნეო-საგლეხო სექტორში	საბჭოთა მეურნეობებში	ს უ ლ
2. რაიკომბინატები			
ამბროლაურის	650	—	650
ცაგერის	300	—	300
ჩოხატაურის	500	—	500
მახარაძის	200	—	200
სულ კომბინატების ხაზით . . .	1650	—	1650
3. უნიონი			
ლიუქსემბურგი	2270	—	2270
სულ ტექნიკური ყურძენი . . .	17360	2140	19500
II. სუფრის ყურძენი			
4. საქხილბოსტანი			
ბორჩალოს	75	—	75
აგბულახის	125	—	125
სულ სუფრის ყურძენი	200	—	200

დანართი 2.

გეგმა დაავანსებისა 1936 წლის მოსავლის ყურძნისა და ღვინისა, სავალდებულო კონტრაქტაციით და სამეურნეო ხელშეკრულებებით.

(ათას მანეთობით)

	კონტრაქტაციით			სამეურნეო ხელშეკრულებებით			
	გეგმა ტონობით	დაავანსების ნორმა ტონაზე	ჯ ა მ ი	საორენტაციო გეგმა ტონობით	დაავანსების ნორმა	ჯ ა მ ი	ს უ ლ ჯ ა მ ი
სამტრესტი	13440	200 მ.	2688,0	3000	100 მ.	300,0	2983,0
უნიონი	2270	„	454,0	700	„	70,0	524,0
კომბინატი	650	„	130,0	200	„	20,0	150,0
ცაგერის	300	„	60,0	90	„	9,0	69,0
ჩოხატაურის	500	„	100,0	150	„	15,0	115,0
მახარაძის	200	„	40,0	60	„	6,0	46,0
საქხილბოსტანი	200	„	40,0	—	„	—	40,0
ს უ ლ	17560	200	3512,0	4200	100 მ.	420,0	3932,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მოგმარაგება.

115. დადგენილება

ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ.

„1936 წელს ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასების შესახებ“ გამოცემული, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. მარტის 5-ის თარიღის და 110 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის სისტემის წამოწყებათა საშენი აგურის არსებული საგასაცემო ფასები 5%-ით და განისაზღვროს აგურის შემდეგი დიფერენცირებული საგასაცემო ფასები ფრანკო-ქარხანა ცალკეული წამოწყებების მიხედვით.

I. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წამოწყებანი.

ლრმა-ღელის, ტევრისა და ნოსირის აგურის ქარხნები . . . 60 მან. ათასი ცალი.

II. ტფილისის საქალაქო საბჭოს წამოწყებანი.

ტფილისის საბჭოს 7 აგურის ქარხანა . . . . . 60 მან. ათასი ცალი.

III. ქუთაისის ქარხანა

(ყოფ. შრომა-გასწორების დაწეს. მთ. სამმ.) . . . 60 მან. ათასი ცალი.

V. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მრეწველობის წამოწყებანი.

ა) გურჯაანის, ხაშურის, სამტრედიის, ზუგდიდის და ლანჩხუთის ქარხნები . . . . . 62 მან. ათასი ცალი.

ბ) ჯუღელისა და მახარაძის . . . . . 72 „ „ „

გ) მინდვრის ქურიანი წამოწყებები და ქარხნები თელავში, ყარაიაში, ლუქსემბურგში, ტყიბულში, ჩხარში, ამბროლაურში, ცაგერში, ბაღდადში, ვანში, აბაშაში, მარტვილში, ხობში, წალენჯიხში, ჩოხატაურში, ყვარლის, ლაგოდეხის, ბორჯომის და ახალციხისა . . . 80 მან. ათასი ცალი.

დ) ცხინვალის ქარხანა . . . . . 76 „ „ „

ე) სარეწაო კოოპერაციის წამოწყებანი . . . . 80 „ „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. აფხაზეთის ასსრ წამოწყებანი.

ა) სოხუმის აგურის ქარხანა . . . . . 72 „ „ „
ბ) ქარხნები გალში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში . . . . . 80 „ „ „

2. დამტკიცებულ იქნას სხვა ადგილობრივი საშენი მასალის (კირი, გაჯი, ქვა, ქვიშა, ხრეში, კრამიტი) შემდეგი საგასაცემო ფასები:

ა. კირი.

1) ძეგვისა და ივრის ქარხნების წარმოებისა . . . . 45 მან. ტონა
2) სურამის „ „ . . . . 40 „ „
3) ხორაგოულის „ „ . . . . 48 „ „
4) მოწამეთის „ „ . . . . 45 „ „
5) ხონის და ქუთაისის „ „ . . . . 50 „ „
6) ცხაკაიას „ „ . . . . 45 „ „
7) სამტრედიის „ „ . . . . 45 „ „
8) მსხლების (სამხრეთ-ოსეთის) „ . . . . 90 „ „
9) აფხაზეთის ასსრ ქარხნების „ . . . . 50 „ „
10) სარეწაო კოოპერაციის ქარხნების წარმოებისა . . 50 „ „

ბ. გაჯი (ყველა წამოწყებისა) . . . . . 27 მან. ტონა.

გ. ქვა, ქვიშა, ხრეში (ყველა წამოწყებისა) 4 მან. და 10 კაპ. კუბ. მეტრი.

დ. კრამიტი.

1) მარსელური, გოფმანის ღუმელების წარმოებისა 180 მან. ათასი ცალი.
2) მარსელური მინდვრის ქურების „ 216 „ „ „
3) ჰოლანდური და ქართული . . . . . 124 „ „ „

3. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ფასები შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წ. მარტის 10-დან.

4. ნება დაერთვას ადგილობრივი საბჭოების ქვემდებარე და სარეწაო კოოპერაციის სისტემის საშენი მასალის მწარმოებელ წამოწყებებს, თავიანთი პროდუქციის 10%-მდე რეალიზებულყონ ფართო ბაზარზე (კოლექტიური მეურნეობებისა, საბინაო-საიჯარო კოოპერაციული ამხანაგობებისა და სხვათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად) შემდეგ საგასაცემო ფასად:

ა. აგურის ქარხნებისა:

1) ტფილისის საქალაქო საბჭოს ქარხნები . . 120 მან. ათასი ცალი.
2) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ქარხნები: თელავის, გურჯაანის, წნორის, ყვარლის, ლაგოდეხის, ყარაიის, ლუქსემბურგის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ჯუღელის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყიბულის, ჩხარის, ხონის, ამბროლაურის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, აბაშის, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ფოთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და მახარაძისა 150 „ „ „

3) ცხინვალის ქარხანა . . . . . 150 „ „ „

4) აფხაზეთის ასსრ ქარხნები . . . . . 150 „ „ „

5) სარეწაო კოოპერაციის წამოწყებები . . . 155 „ „ „

ბ. კირის ქარხნებისა:

ადგილობრივი ქვემდებარეობის მრეწველობის წამოწყებანი 70 მან. ტონა.

მსხლების კირის ქარხანა . . . . . 100 „ „

კირის ქარხნები აფხაზეთის ასსრ-ში . . . . . 70 „ „

სარეწაო კოოპერაციის წამოწყებანი . . . . . 70 „ „

5. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის IV კარის „ე“ პუნქტში და მე-2 მუხლში გათვალისწინებული, ადგილობრივი საშენი მასალის საგასაცემო ფასები გავრცელებულ იქნას დამხმარე წამოწყებათა პროდუქციის იმ ნაწილზე, რასაც ეს წამოწყებანი გარეთ გასცემენ.

6. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმების პროექტი, რაც დაკავშირებულია ცალკეული სახის საშენი მასალის ტრანსპორტირებასა, დატვირთვისა და გადმოტვირთვასთან, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის თვითეული მსხვილი საშენებლისათვის.

საქ. სსრ ს-კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ხ. მებუკე.**

1936 წ. მაისის 3. № 460.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 107 №-ში 1936 წ. მაისის 10.

სოციალური უზრუნველყოფა.

116. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 31-ის დადგენილების 1-ლი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1-ლი მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 31-ის დადგენილებისა ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამყოფ პირთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის შესახებ" მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. პერსონალური პენსია ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთ ენიშნებათ „პერსონალური პენსიების დებულების" მე-3 მუხლის „ა" პუნქტის საფუძვლებზე (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47), ხოლო ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთ „პერსონალური პენსიების დებულების" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. ივნისის 29. № 149/756.
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

117. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37 მუხლი გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. ივნისის 29. № 148/755.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 37. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 4/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VIII; ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № 3920-ა. საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 627.